ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4025186

ნომერი: AR1606810

თარიღი : 14.06.2018

გაცემის თარიღი : 20.06.2018

გაცნობის თარიღი : 01.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლესელიძე , N 33;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კეკელიძე პ/ნ 17001007786
- ვანი ს. ტობანიერი

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი კეკელიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 17001007786

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევანი ალავერდაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლი 14 ივნისის AR1606810 განცხადება. პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა :

- განმარტებითი ბარათი საპროექტო სამუშაოების სრული ასახვით;
- საპროექტო ნახაზები;
- არსებული სიტუაციის ამსახველი აზომვითი (სქემატური) ნახაზები;
- მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით საჭიროა დაამოწმოთ სპეციალისტის მიერ;
- საკადასტრო გეგმაზე საპროექტო არეალთან ერთად მონიშნეთ საპროექტო ლაითბოქსი, ზომების მითითებით;
- ფოტომონტაჟი ახლო და შორი ხედიდან, რომელზეც უნდა მიეთითოთ საპროექტო ლაითბოქსის ზომები, ნიშნულები, მასალები ასევე ხემდე და ტროტუარის კიდემდე მანძილები;
- შენობაზე მიმაგრებული ნიშნები და აბრები შესაძლებელია იყოს შეჭრილი საზოგადოებრივ სივრცეში გრუნტის ზედაპირიდან 2.7 მ-ზე მაღლა სიმაღლეზე, მაგრამ ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან პერპენდიკულარული მანძილი ამ ნიშნებამდე და აბრებამდე უნდა იყოს მინიმუმ 1,2 მ.
- საჩრდილობელზე და აბრაზე წარწერის განთავსებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას რეკლამის შესახებ და სახელმწიფო ენის შესახებ კანონები. განგიმარტავთ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის, მე-4 მუხლის, 2', 3 და 4 პუნქტების მიხედვით: 2'. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში იგი შეიძლება შესრულდეს აგრეთვე უცხოურ ენაზე. უცხოურენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას. 3. უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. 4. ასევე ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი. ამასთან სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის, 25-ე მუხლის , მე-3 პუნქტის მიხედვით: ,,ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით)''
- დამკვეთად ორგანიზაციის ველში მიეთითეთ შპს „ფორვარდი“;

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში AR1606810 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.